



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



მურომბ კვირკვინა
ნიკოლოზ სუმბაძე

**ევროკავშირსა და საქართველოს
შორის ასოცირების
შეთანხმებით საქართველოს
მიერ 2014–2018 წლებში
ენერგეტიკის სფეროში აღებული
ვალდებულებების შესრულების
განმარტობის ანალიზი**

2020

ევროკავშირსა და საქართველოს შორის
ასოცირების შეთანხმებით
საქართველოს მიერ 2014-2018 წლებში
ენერგეტიკის სფეროში აღებული
ვალდებულებების შესრულების
მდგომარეობის ანალიზი

მურთაზ კვირკვანია
ნიკოლოზ სუმბაძე

თბილისი
2020



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ეს კვლევა შეიქმნა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
ტელეფონი: (+995 32) 2 39 90 19
ელექტრონული ფოსტა: office@csrdg.ge
www.csrdg.ge

აბრევიატურები და განმარტებები

ეგზ	ელექტროგადამცემი ხაზი
ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანია	ენერგეტიკულ სექტორში მოქმედი კომპანია, რომელიც ერთდროულადაა ჩართული კონკურენტულ (გენერაციის და მიწოდების) და ბუნებრივ მონოპოლიურ (გადაცემის და განაწილების) საქმიანობაში.
კვტ.სთ	კილოვატ საათი
კვ	კილოვოლტი
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
მგვტ	მეგავატ საათი
მლნ	მილიონი
ს/მ	საკუთარი მოხმარება
ტნე	ტონა ნავთობის ეკვივალენტი
ქ/ს	ქვესადგური
ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებელი	ნებისმიერი პირი, რომელიც საკუთარ საჭიროებისათვის ელექტროენერგიას (სიმძლავრეს) იღებს წარმოების ან გადაცემის ლიცენზიატის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის, ან სხვა მომხმარებლის კუთვნილი ქსელიდან, აღნიშნულ ქსელზე (ქსელებზე) მდებარე მიწოდების წერტილებიდან ჯამურად, კალენდარული წლის შედეგებით, საშუალოდ თვიურად მოიხმარს არანაკლებ 5 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას და აკმაყოფილებს „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილ მოთხოვნებს, ასევე ნებისმიერი სხვა მომხმარებელი, რომელიც აკმაყოფილებს „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილ მოთხოვნებს და რეგისტრირებულია ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ, როგორც ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებელი.
საბითუმო მიწოდებელი	ნებისმიერი პირი, რომელიც უფლებამოსილია შეისყიდოს ელექტროენერგია წარმოების ლიცენზიატის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ან/და იმპორტიორისგან ან/და განახორციელოს ელექტროენერგიის იმპორტი და მიწოდოს ელექტროენერგია პირდაპირ მომხმარებელს ან/და ექსპორტიორს.
ბაზრის ოპერატორი	სს „ელექტროენერგიის სისტემის კომერციული ოპერატორი“ (ესკო)
მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური	13 მეგავატამდე საპროექტო დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგური, რომელიც არ საჭიროებს ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიას.
ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიატი	13 მეგავატზე მეტი საპროექტო დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგური, რომელიც საჭიროებს ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიას
ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატი	პირი, რომელიც ფლობს ელექტროენერგიის განაწილების ქსელს და ასევე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ელექტროენერგიის მიწოდებას საცალო დონეზე.
ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორი	ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, რომელსაც ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატებთან გაფორმებული აქვს სათანადო ხელშეკრულება მათი კუთვნილი გადამცემი ქსელის ოპერირებისა და განვითარების დაგეგმვის უფლებამოსილების ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის გადაცემის შესახებ და რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ასრულებს აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფუნქციებს;

სარჩევი

აბრევიატურები და განმარტებები	4
1. შესავალი.....	6
2. კვლევის მეთოდოლოგია	7
3. საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მიმოხილვა	8
3.1. ელექტროენერგეტიკული ბაზარი	11
3.2. ბუნებრივი გაზის ბაზარი.....	17
4. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ენერგეტიკის სექტორში.....	20
4.1. ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო მექანიზმები.....	23
4.2. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგი	24
4.3. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის განხორციელების შესრულების მდგომარეობა.....	25
4.4 ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად 2019-2020 წლებში დაგეგმილი ღონისძიებები	27
5. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა.....	28
5.1 მესამე ენერგეტიკული პაკეტი.....	28
5.2. 2008 წლის 22 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/92/EC დირექტივა გაერთიანების პროცედურების შესახებ სამრეწველო მომხმარებლისათვის დაწესებული გაზისა და ელექტროენერგიის ფასების გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით.	33
5.3 2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/28/EC დირექტივა განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ.	34
5.4. ინფორმაცია ამ ეტაპზე შეუსრულებელი დირექტივებისა და რეგულაციების შესახებ.....	34
6. შეჯამება	37
გამოყენებული ლიტერატურა და მასალები.....	38

1. შესავალი

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობები მე-20 საუკუნის ბოლოდან იწყება და წლების განმავლობაში სულ უფრო მეტად იზრდება. აღნიშნული ურთიერთობები უფრო აქტიური და ინტენსიური 2003 წლიდან გახდა. ევროკავშირი სხვადასხვა პლატფორმის, პროგრამისა თუ ფინანსური მხარდაჭერით ხელს უწყობს საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას და კანონის უზენაესობის გამყარებას, რათა მაქსიმალურად იქნეს დაცული ადამიანთა უფლებები, გაძლიერდეს ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, გაუმჯობესდეს ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, რაც აუცილებელი პირობაა საქართველოს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობისათვის.

2014 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო. კერძოდ, 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმებას (შემდგომში – ასოცირების შეთანხმება), რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს. ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთთანამშრომლობას მრავალ საკითხზე სხვადასხვა სფეროში, რომელთაგანაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ენერგეტიკის სექტორი.

ასოცირების შეთანხმება, როგორც საქართველოსა და ევროკავშირის შორის ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობის მთავარი დოკუმენტი, საქართველოს აძლევს შესაძლებლობას, შექმნას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ენერგეტიკული სექტორი, გაზარდოს კონკურენცია, უზრუნველყოს გამჭვირვალობა ენერგეტიკულ ბაზრებზე და აამაღლოს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების დონე, გააუმჯობესოს საინვესტიციო გარემო და ხელი შეუწყოს განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებასა და ენერგოეფექტურობას. ასევე, მნიშვნელოვანია გარემოს დაცვისა და სტატისტიკის თვალსაზრისით განსახორციელებელი ღონისძიებები.


წინამდებარე ანგარიში შედგენილია პროექტის – „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ – ფარგლებში. ანგარიშში მიმოხილულია საქართველოს ენერგეტიკული ბაზარი, წარმოდგენილია საქართველოს ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის ბაზრების ძირითადი მაჩვენებლები წლების მიხედვით. ასევე მოცემულია ინფორმაცია ენერგეტიკის სფეროში ასოცირების შეთანხმებით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესახებ და აღწერილია 2014-2018 წლებში აღნიშნული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა. ანგარიში მოიცავს საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში განწევრიანების ვალდებულების შესრულების საკითხსაც. ანგარიშის შემაჯამებელ ნაწილში წარმოდგენილია ექსპერტების მიერ შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები.

2. კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული 2014-2018 წლებში საქართველოს მიერ შესასრულებელი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ანალიზისათვის კვლევაში გამოყენებულია ე.წ. სამაგიდე კვლევა (**Desk Research**). დაჯგუფდა დირექტივებით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი საკითხები და შედარდა ისინი საქართველოში მოქმედ ენერგეტიკულ კანონმდებლობას ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის თვალსაზრისით. გაანალიზდა ენერგეტიკულ სექტორში შესაბამისი უწყებების მიერ მომზადებული საჯაროდ ხელმისაწვდომი სტრატეგიები, გეგმები და არსებული ადამიანური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით განხილულ იქნა ვალდებულებების დათქმულ ვადაში ეფექტიანად შესრულების შესაძლებლობა.


3. საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3,723.500 კაცს. აღნიშნული მაჩვენებელი ბოლო წლების განმავლობაში მცირდება, კერძოდ, 2019 წელს მოსახლეობა 2010 წელთან შედარებით 0.3%-ით არის შემცირებული. რაც შეეხება ეკონომიკურ აქტივობას, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2004-2018 წლებში საშუალოდ 5.3%-ით იზრდებოდა. ეკონომიკის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა ელექტროენერგიის მოხმარებაც, რომელიც 2004-2018 წლებში საშუალოდ 4.5%-ით გაიზარდა (იხ. ნახაზი №1).



ნახაზი №1. ელექტროენერგიის მოხმარებისა და მშპ-ის რეალური ზრდა 2004-2017 წლებში

საქართველოს ძირითად ეკონომიკურ საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მრეწველობის, ვაჭრობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორებს. შესამჩნევი ეკონომიკური აქტივობაა ტურიზმის, ასევე სოფლის მეურნეობის სფეროში, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგან მოსახლეობის 50%-ზე მეტი ცხოვრობს სოფელში და მუშაობს მიწაზე. ამასთან, ექსპორტის დაახლოებით 20%-ს სასოფლო-სამეურნეო საქონელი შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის სხვა სფეროები, სოფლის მეურნეობის სექტორში აქტივობა არ შემცირებულა, თუმცა შემცირდა მისი წილი მთლიან ეკონომიკაში (იხ. ნახაზი №2).



ნახაზი №2. საქართველოს მშპ-ს სტრუქტურა 2018 წელს¹

ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტირებულ წიაღისეულ საწვავზე, რაც ჯამური საბოლოო ენერგიის მოხმარების საშუალოდ 70-80% შეადგენს. მაგალითისათვის, იმპორტირებულმა ენერგორესურსებმა 2018 წელს საქართველოში ჯამურად მიწოდებული ენერგიის 80.6% შეადგინა, 2017 წელს – 80.7%, ხოლო 2016 წელს – 78%. იმპორტირებულ ენერგორესურსებში მნიშვნელოვანი წილი ბუნებრივ გაზსა (50%-51%) და ნავთობპროდუქტებზე (38%-41%) მოდის (იხ. ცხრილი №1).

ცხრილი №1. საქართველოში იმპორტირებული ენერგორესურსების წილები²

დასახელება/წელი	2016	წილი	2017	წილი	2018	წილი
ჯამური შიდა მიწოდება	4,789.5		4,736.9		4,819.9	
იმპორტი	3,735.1	78%	3822.9	80.7%	3884.6	80.6%
ქვანახშირი	165.4	4.42%	192.8	5.04%	268.7	6.92%
ნედლი ნავთობი	43.4	1.16%	60.5	1.58%	2	0.05%
ნავთობპროდუქტები	1,526.6	40.87%	1,466.7	38.37%	1,478.3	38.06%
ბუნებრივი გაზი	1,885.3	50.48%	1,952.3	51.07%	2,004.7	51.60%
ბიოსაწვავი და ნარჩენები	0.2	0.01%	0	0.00%	0	0.00%
ელექტროენერგია	114.2	3.06%	150.6	3.94%	130.9	3.37%

საქართველოში ჯამური შიდა მიწოდებული ენერგიის საბოლოო მოხმარება ძირითადად შინამეურნეობების, ტრანსპორტისა და მრეწველობის სექტორების მიერ ხორციელდება (იხ. ცხრილი №2). რაც შეეხება 2016-2018 წლებში საქართველოში საბოლოო ენერგიის მოხმარებას სექტორებისა და ენერგორესურსების მიხედვით, ეს მონაცემები თავმოყრილია №1 დანართში. 2016-2018 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს ჯამური საბოლოო ენერგიის მოხმარებაში მნიშვნელოვანი წილი უკავია ტრანსპორტის, შინამეურნეობებისა და მრეწველობის სექტორებს. საბოლოო ენერგიის მოხმარება ენერგორესურსების მიხედვით მოცემულია ნახაზზე №3.


¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

² 2016-2018 წლების საქართველოს აგრეგირებული ენერგეტიკული ბალანსები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი №2. საქართველოში საბოლოო ენერგიის მოხმარება სექტორების მიხედვით და მათი წილები³

დასახელება / წელი	2016	წილი	2017	წილი	2018	წილი
მრეწველობა	603.2	14%	679	15.5%	689.6	15.7%
ტრანსპორტი	1,523.5	35%	1,379.8	32%	1,440.7	32.8%
კერძო და სახელმწიფო მომსახურება	435	10%	451.8	10%	512.1	11.7%
შინა მეურნეობები	1,272.3	29%	1,330.9	30.5%	1,216	27.7%
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	29.6	1%	30.8	1%	26.7	0.6%
სხვა	165.7	4%	172.1	4%	165.2	3.8%
არა ენერგეტიკული მიზნებისათვის	301.2	7%	319	7%	339.7	7.7%
ენერგიის ჯამური საბოლოო მოხმარება	4,330.5	100%	4,363.4	100%	4,390	100%

ბუნებრივი გაზი საბოლოო ენერგიის მოხმარების (33%) ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა საქართველოში. მოსახლეობა და საწარმოთა უმეტესობა მას იყენებს საკვების მოსამზადებლად, წყლისა და ფართის გასათბობად.



ნახაზი №3. საბოლოო ენერგიის მოხმარება ენერგორესურსების მიხედვით

ელექტროენერგია ასევე ერთ-ერთი უმთავრესი ენერგიის წყაროა საქართველოსთვის. მისი წილი ენერგიის საბოლოო მოხმარებაში 2017 წელს შეადგენდა 22%-ს, ხოლო 2016 წელს – 20.8%-ს. 2017 წელს ელექტროენერგიის საბოლოო მოხმარებამ 963.8 ათასი ტნე შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით – 6.9%-ით, ხოლო 2015 წელთან შედარებით – 13.1%-ით არის გაზრდილი. აღსანიშნავია, რომ როგორც 2017 წელს, ისე 2016 წელს ელექტროენერგიის საბოლოო მოხმარების 80%-მდე მოიხმარებოდა შემდეგი სამი სექტორის მიერ: მრეწველობა, კერძო და სახელმწიფო მომსახურება და შინამეურნეობები⁴.

3 2016-2018 წლების საქართველოს აგრეგირებული ენერგეტიკული ბალანსები, საქსტატი

4 2017 და 2016 წლების საქართველოს აგრეგირებული ენერგეტიკული ბალანსები, საქსტატი


3.1. ელექტროენერგეტიკული ბაზარი

ელექტროენერგიის, როგორც პროდუქტის, ერთ-ერთ, ძირითადი დამახასიათებელია მისი გამოშვებისა და მოხმარების იმავდროულობა, რაც საკმაოდ რთულ მაღალტექნოლოგიურ პროცესთანაა დაკავშირებული. ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ დღესუკვე არსებობს სხვადასხვა თანამედროვე ტექნოლოგია, რომელიც ელექტროენერგიის დაგროვებას (შენახვას) უზრუნველყოფს, თუმცა ჯერჯერობით ელექტროენერგიის დიდი მოცულობით შენახვა არ არის შესაძლებელი.

ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების სრული ციკლი მოიცავს რამდენიმე ეტაპს, კერძოდ:

- 1) ელექტროენერგიის წარმოება ხორციელდება სხვადასხვა ენერგორესურსზე მომუშავე ელექტროსადგურის მიერ;
- 2) გამოშვებული ელექტროენერგიის მინიმალური დანაკარგით გადაცემისათვის ხორციელდება საგენერატორო ძაბვის ამაღლება შესაბამისი სიმძლავრის ტრანსფორმატორის საშუალებით;
- 3) შესაბამისი ტრანსფორმატორით ამაღლებული ელექტროენერგიის გადაცემა დიდ მანძილზე ხორციელდება მაღალი (500-110 კვ) ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით;
- 4) მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით გადაცემული ელექტროენერგიის საყოფაცხოვრებო და კომერციული მოხმარებისათვის შესაბამისი ძაბვის დონეზე დადაბლება ხორციელდება გამანაწილებელ ქვესადგურებში;
- 5) მოხმარებისათვის შესაბამისი ძაბვის დონეზე დადაბლებული ელექტროენერგიის განაწილება ხდება საშუალო და დაბალი (110-0.4 კვ) ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით;
- 6) შესაბამისი ძაბვაზე დადაბლებული ელექტროენერგიის მოხმარება ხორციელდება კომერციული მომხმარებლების მიერ;
- 7) შესაბამისი ძაბვაზე დადაბლებული ელექტროენერგიის მოხმარება ხორციელდება საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ.

ელექტროენერგიის ფიზიკური მიწოდების პროცესი მოცემულია ნახაზზე №4.



ნახაზი №4. ელექტროენერგიის ფიზიკური მიწოდების პროცესი

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზარი იყოფა საბითუმო და საცალო ბაზრებად. საბითუმო ბაზარზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფუნქციონირებდა 27 ლიცენზიატი, მათ შორის, ელექტროენერგიის წარმოების 20, განაწილების – 2; გადაცემის – 4 და დისტრიბუირების 1 ლიცენზიატი. საბითუმო ბაზარზე ელექტროენერგიით ვაჭრობა ხორციელდება პირდაპირი კონტრაქტების, საბალანსო და გარანტირებული სიმძლავრის ბაზრებზე. პირდაპირი კონტრაქტების ბაზარზე ელექტროენერგიას ყიდიან ელექტროენერგიის მწარმოებლები და მას ყიდულობენ განაწილების ლიცენზიატები, პირდაპირი მომხმარებლები და ექსპორტიორები. საბალანსო ბაზარს ორგანიზებას უწევს ესკო, რომელიც ახდენს ფაქტიური გამომუშავება/მოხმარებისა და პირდაპირი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ელექტროენერგიის რაოდენობებს შორის სხვაობის დაბალანსებას. შესაბამისად, ესკო, ერთი მხრივ, ელექტროენერგიის მწარმოებლებისგან ყიდულობს პირდაპირი კონტრაქტების გარეშე გამომუშავებულ ელექტროენერგიას და, მეორე მხრივ, საშუალო შეწონილი ტარიფით ყიდის მას პირდაპირ მომხმარებლებსა და გამანაწილებელ კომპანიებზე. ესკო ახორციელებს აგრეთვე გარანტირებული სიმძლავრის ბაზრის ორგანიზებას და გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობას. საქართველოს ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობის, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებისათვის საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილებით განისაზღვრება გარანტირებული სიმძლავრის წყაროები, ამ წყაროების მიერ უზრუნველყოფილი მინიმალური გარანტირებული სიმძლავრეების რაოდენობა და გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდები. გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველები არიან განაწილების ლიცენზიატები, პირდაპირი მომხმარებლები და ექსპორტიორები. საბალანსო და გარანტირებული სიმძლავრის ბაზრებზე ელექტროენერგიით ვაჭრობა ხორციელდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული საბალანსო ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვისა და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვის სტანდარტული ხელშეკრულების საფუძველზე.

საბითუმო ბაზრის სუბიექტები არიან ელექტროენერგიის მწარმოებლები, პირდაპირი მომხმარებლები, ექსპორტიორები, იმპორტიორები, საბითუმო მიმწოდებლები და განაწილების ლიცენზიატები, რომლებიც საცალო მომხმარებლებს აწვდიან ელექტროენერგიას რეგულირებად ფასად. ბაზარზე ტექნიკური და კომერციული მომსახურებების მიმწოდებლები არიან გადამცემი სისტემის ოპერატორი, ბაზრის ოპერატორი, გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატები. საცალო ბაზრებზე წარმოდგენილი არიან აგრეთვე ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატები, როგორც საქსელო მომსახურების, ისე მიწოდების ნაწილში. საცალო ბაზარზე ელექტროენერგიის მიწოდების განხორციელება შეუძლია მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებსაც. რაც შეეხება საბოლოო მოხმარების სეგმენტს, საცალო მომხმარებლები იყოფიან საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებად. 2016 წლიდან საცალო მომხმარებლებს დაემატა მომხმარებელი, რომლის მფლობელობაშიც არის განახლებადი ენერგიის წყაროზე მომუშავე მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური, მაქსიმუმ 100 კვტ დადგმული სიმძლავრით.


2018 წელს ელექტროენერგიის წარმოება⁵ წინა წელთან შედარებით 5.5%-ით, ხოლო 2016 წელთან-5%-ით გაიზარდა. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია 2017 წელს ენგურჰესის გაჩერებით და ზოგადად ნაკლები წყალმოდინებით. ამასთან, 2018 წელს ექსპლუატაციაში შევიდა 9 საშუალო და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური, რაც ასევე დადებითად აისახა ელექტროენერგიის გამომუშავებაზე. კერძოდ, 2018 წელს ექსპლუატაციაში შევიდა 2 საშუალო სიმძლავრის ელექტროსადგური ჯამური დადგმული სიმძლავრით 48.86⁶ მგვტ და 7 მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური ჯამური დადგმული სიმძლავრით 18.38 მგვტ⁷. აღსანიშნავია, რომ გასული ბოლო ათი წლის მონაცემებით საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება ყოველწლიურად საშუალოდ 3.9%-ით იზრდება.

5 ელექტროენერგიის წარმოების მაჩვენებლებისთვის გამოყენებულია ე.წ. „სალტზე გაცემული“ ელექტროენერგიის მაჩვენებლები, რაც წარმოადგენს ელექტროენერგიის მწარმოებლების მიერ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერგიის რაოდენობას.

6 კირნათიჰესი (დადგმული სიმძლავრე 27.47 მგვტ) და ოლდენერჯიჰესი (დადგმული სიმძლავრე 21.39 მგვტ)


7 შილადაჰესი (დადგმული სიმძლავრე 1.2 მგვტ); ხეორიჰესი (დადგმული სიმძლავრე 1.3 მგვტ); კასლეთი 2 ჰესი (დადგმული სიმძლავრე 9 მგვტ); ბოდორნაჰესი (დადგმული სიმძლავრე 2.5 მგვტ); სქურდიდიჰესი (დადგმული სიმძლავრე 1.33 მგვტ); ჯინოულიჰესი (დადგმული სიმძლავრე 1.1 მგვტ); არაგვი 2 ჰესი (დადგმული სიმძლავრე 1.95 მგვტ).

ელექტროენერგიის წარმოების ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა მოხმარებაში. 2018 წელს საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება წინა წელთან შედარებით 7.6%-ით გაიზარდა, ხოლო 2016 წელთან შედარებით – 15.9%-ით. გასული ბოლო ათი წლის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება ყოველწლიურად საშუალოდ 4.8%-ით იზრდება (იხ. ნახაზი №5).



ნახაზი №5. ელექტროენერგიის წარმოება და მოხმარება⁸


ელექტროენერგიის წარმოების სტრუქტურაში თბოსადგურებიდან და ჰიდროელექტროსადგურებიდან გამომდინარე (საღებზე გაცემული) ელექტროენერგიის წილის ზრდა ჯამურად წარმოებულ ელექტროენერგიაში მეტნაკლებად სტაბილურ ტენდენციას იწარჩუნებს. თბოელექტროსადგურებიდან წარმოებულმა ელექტროენერგიამ როგორც 2017, ისე 2018 წლებში ჯამურად წარმოებული ელექტროენერგიის 16.9% შეადგინა. რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან გამომდინარე ელექტროენერგიას, 2018 წელს მისი წილი ჯამურად წარმოებულ ელექტროენერგიაში 83% იყო, ხოლო 2017 წელს – 82.4%, 2016 წლის ბოლოს ექსპლუატაციაში შესული ახალი ქარის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის წილმა კი 0.7% შეადგინა (იხ. ნახაზი №6).



ნახაზი №6. ელექტროსადგურების მიერ საღებზე გაცემული ელექტროენერგიის სტრუქტურა


8 ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო)

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავებას, 2018 წელს მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის წილმა ჰიდროელექტროსადგურების ჯამურად გამომუშავებულ ელექტროენერგიაში შეადგინა 48%, ნაწილობრივ დერეგულირებული ჰიდროელექტროსადგურების წილმა – 29.4%, ხოლო დერეგულირებული ჰიდროელექტროსადგურების წილმა – 22.6%, რომელშიც 13 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული (სალტეზე გაცემული) ელექტროენერგიის წილია 69.5%, ხოლო მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების – 30.5% (იხ. ნახაზი №7).



ნახაზი №7. ჰიდროელექტროსადგურებიდან ელექტროენერგიის გამომუშავების სტრუქტურა⁹

2018 წელს საქართველოს ჯამური გენერაციის სიმძლავრე 2017 წელთან შედარებით 1.6%-ით გაიზარდა და 4,179.3 მგვტ შეადგინა. მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე წინა წელთან შედარებით გაიზარდა 10.3%-ით, ხოლო დიდი და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების – 1.6%-ით). გენერაციის სიმძლავრეები ელექტროსადგურების ტიპების მიხედვით, ნაჩვენებია ნახაზზე №8.




ნახაზი №8. გენერაციის სიმძლავრეების სტრუქტურა¹⁰

2018 წელს მომხმარებლებზე მიწოდებული ელექტროენერგიის 70.5%-ის რეალიზაცია ელექტროენერგიის გამანაწილებელმა კომპანიებმა მოახდინეს. პირდაპირმა მომხმარებლებმა მოიხმარეს 14.2%, ხოლო აფხაზეთზე მიწოდებული ელექტროენერგიის წილმა 15.3% შეადგინა. პირდაპირი მომხმარებ-

⁹ ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო)


¹⁰ ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო)

ლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია წინა წელთან შედარებით 25%-ით, ხოლო 2016 წელთან შედარებით 48%-ით გაიზარდა. ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია წინა წელთან შედარებით 5.2%-ით, ხოლო 2016 წელთან შედარებით 12.6%-ით არის გაზრდილი. აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობამ 2018 წელს 19.217 მლნ კვტ.სთ შეადგინა, რაც 2017 წელთან შედარებით 4%-ით არის შემცირებული. აღნიშნული მაჩვენებელი მთლიანი მოხმარების 15.3%-ია, ხოლო მომხმარებელზე მიწოდებული ელექტროენერგიის- 8.03%. აფხაზეთის მიერ მომხმარებული ელექტროენერგია იფარება ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადის მიერ გამოშვებული ელექტროენერგიით (იხ. ნახაზი №9).



ნახაზი №9. ელექტროენერგიის შიდა მოხმარების სტრუქტურა¹¹

2018 წელს ელექტროენერგიის იმპორტმა 1,509 მლნ კვტ.სთ შეადგინა, რაც 2.6-ჯერ მეტია ექსპორტის რაოდენობაზე. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელზე 1%-ით მეტია, ხოლო 2016 წლის მაჩვენებელზე 3-ჯერ მეტი. რაც შეეხება ექსპორტს, 2018 წელს საქართველოდან განხორციელდა 589 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგიის ექსპორტი, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 14.2%-ით ნაკლებია (იხ. ნახაზი №10).




ნახაზი №10. ელექტროენერგიის იმპორტი და ექსპორტი¹²

11 ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო)

12 ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო)

ელექტროენერგიის იმპორტის 82% აზერბაიჯანიდან განხორციელდა, 14% – რუსეთიდან, 3% – თურქეთიდან, ხოლო 1% – სომხეთიდან (იხ. ნახაზი №11). ელექტროენერგიის ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი (66%) განხორციელდა თურქეთში, რუსეთში – 16%, სომხეთში – 14%, ხოლო 4% – აზერბაიჯანში (იხ. ნახაზი №12). აღსანიშნავია, რომ იმპორტის მნიშვნელოვანი რაოდენობა წინა წლებში (2016 წელს 77% და 2015 წელს 73%) რუსეთიდან ხორციელდებოდა, ხოლო აზერბაიჯანიდან – მთლიანი იმპორტის 17-22%-მდე. რაც შეეხება ელექტროენერგიის ექსპორტს, როგორც 2018 წელს, ისე წინა წლებში, უმეტესი ნაწილი ხორციელდება თურქეთში.



ნახაზი №11. ელექტროენერგიის იმპორტი ქვეყნების მიხედვით¹³

ნახაზი №12. ელექტროენერგიის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით¹⁴

2018 წლის ელექტროენერგიის მოხმარება-მიწოდების ბალანსის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს გენერაციის ახალი სიმძლავრეების მშენებლობას ადგილობრივი ენერგორესურსების გამოყენებით. ამიტომ ჰიდრორესურსებთან ერთად მაქსიმალურად უნდა იყოს ათვისებული სხვა ადგილობრივი განახლებადი ენერგიის რესურსები. საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში მოქმედი ელექტროსადგურები, მახასიათებლების მიხედვით, მოცემულია დანართში №6.

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში არსებული ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემი ხაზების გამტარუნარიანობა საშუალებას იძლევა მეზობელ ქვეყნებში ექსპორტზე იყოს გატანილი ჭარბი ელექტროენერგია. 2018 წლის ბოლოსთვის საქართველოში არსებული წმინდა ტრანსსასაზღვრო გამტარუნარიანობამ ჯამურად შეადგინა 2,550 მგვტ. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 2019-2029 წლების გეგმით გათვალისწინებული ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით საქართველოს ტრანსსასაზღვრო გამტარუნარიანობა 2030 წლისათვის უნდა გაიზარდოს 4,500 მგვტ-მდე, რაც თითქმის ორჯერ მეტია 2018 წლის მონაცემებზე. საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან არსებული და დაგეგმილი ტრანსსასაზღვრო ხაზების გამტარუნარიანობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში №4 და დანართში №5.


ელექტროენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია საქსელს ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, გაძლიერება და ახალი ობიექტების მშენებლობა, რათა მოხდეს ელექტროენერგიის საიმედო და უსაფრთხო ტრანსპორტირება გენერაციის ობიექტებიდან და ტრანსსასაზღვრო კავშირის წერტილებიდან მოხმარების ცენტრებამდე ისე, რომ გადამცემი ქსელის რომელიმე ელემენტის გამორთვა არ იწვევდეს ელექტროენერგიის ტრანსპორტირებისა და მიწოდების პროცესის შეფერხებას. ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელი წარმოადგენს ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ინფრასტრუქტურას, რომელიც უნდა ვითარდებოდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მომხმარებელთა უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მომარაგება.

¹³ ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო)

¹⁴ ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო)

ელექტროენერგიის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერგიის დანაკარგების გონივრულ დონეზე შემცირება გადამცემი და განაწილების სისტემის ოპერატორების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. აღნიშნული პირდაპირ კავშირშია გადამცემის და გამანაწილებლის ლიცენზიატების ქსელური მომსახურების ტარიფთან, რადგან ქსელური კომპანიების მიერ მოთხოვნილი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ქსელში სხვადასხვა ობიექტური, ფიზიკური თუ ტექნიკური მიზეზით დაკარგული ენერგიის შესასყიდ ხარჯებზე მოდის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის მიერ ხდება დანაკარგების ნორმირება და რეგულირება.

2018 წელს ელექტროენერგიის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელში ფაქტობრივმა ჯამურმა დანაკარგმა შეადგინა 6.48% ქსელში ჯამურად მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობასთან მიმართებაში. აღნიშნულ მაჩვენებელში გადამცემ ქსელში დანაკარგების წილი 1.92%-ია, ხოლო განაწილების ქსელში – 4.56% (იხ. ნახაზი №13).



ნახაზი №13. ელექტროენერგიის დანაკარგები გადამცემის და განაწილების ქსელში¹⁵

გამანაწილებელ ქსელში დანაკარგების თვალსაზრისით ბოლო წლებში შემცირების ტენდენცია შეიმჩნევა. გამანაწილებელი კომპანიების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს მაჩვენებლები სხვადასხვა დინამიკისაა, რაც დამატებით ანალიზს საჭიროებს. მცირედი მატება ფიქსირდება 2017 წელს, რაც განპირობებული იყო სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ ფაქტობრივი დანაკარგების ყველაზე ცუდი მაჩვენებლით, რის შემდეგაც მისი აქტივები სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ შეისყიდა.

3.2. ბუნებრივი გაზის ბაზარი

საქართველოს ბუნებრივი გაზის ბაზარი შეიძლება დაიყოს ორად – ბუნებრივი გაზის ბაზრის საბითუმო და საცალო დონეებად. საბითუმო დონეზე მიმწოდებლები ახორციელებენ ბუნებრივი გაზის იმპორტს (ან მცირე ოდენობის მოპოვებული ბუნებრივი გაზის შესყიდვას) და მის გადაყიდვას სხვა მიმწოდებლებზე, ხოლო საცალო დონეზე მიმწოდებლები ბუნებრივ გაზს აწვდიან უშუალოდ საბოლოო მომხმარებლებს. აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგეტიკული სექტორისგან განსხვავებით, ბუნებრივი გაზის სექტორში კანონმდებლობით ერთმანეთისგან გამოყოფილია განაწილებისა და

¹⁵ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

მიწოდების საქმიანობა, თუმცა, დასაშვებია, რომ ერთი და იგივე საწარმო ორივე საქმიანობას ეწეოდეს. 2018 წელს ბაზარზე საქმიანობას ახორციელებდა 33 მიმწოდებელი, მათგან 2 მიმწოდებელი აქტიური იყო მხოლოდ საბითუმო ბაზარზე, 25 მიმწოდებელი – მხოლოდ საცალო ბაზარზე, ხოლო 6 მიმწოდებელი – ბაზრის ორივე დონეზე.

საბოლოო მომხმარებლებთან ბუნებრივი გაზის ფიზიკურ მიწოდებას ახორციელებენ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და განაწილების ლიცენზიანტები. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს ბუნებრივი გაზის, მისი მოპოვების ან იმპორტის წყაროდან, დასახლებულ პუნქტებამდე მიწოდება, ხოლო ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატების – ბუნებრივი გაზის მიწოდება, ანუ განაწილება საბოლოო მომხმარებლის წერტილამდე.

საქართველოსთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების უმთავრეს წყაროდ კვლავ რჩება აზერბაიჯანის რესპუბლიკა. სხვადასხვა კონტრაქტების მეშვეობით საქართველო აზერბაიჯანიდან იღებს მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო ბუნებრივი გაზის 61.3%-ს. საქართველო ახორციელებს ასევე ბუნებრივი გაზის ტრანზიტს რუსეთის ფედერაციიდან სომხეთის რესპუბლიკის მიმართულებით (იხ. ცხრილი №3).

ცხრილი №3. საქართველოში გაზის მიღება მიღების პუნქტების მიხედვით (მლნ. მ³)¹⁶


ბუნებრივი გაზის მიღების პუნქტი		2016	2017	2018
აზერბაიჯანი		1,321	1,200	1,105
რუსეთი		122	135	39
სომხეთი		19	0	15
სამხრეთ კავკასიის მილსადენი	დამატებითი და ოფციური	792	821	822
	იმპორტი	0	180	296
ადგილობრივი მოპოვება		6	8	9
სულ		2,261	2,344	2,586

2018 წელს საქართველოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ბუნებრივი გაზი ქვეყანაში შემოიტანა ოთხმა მიმწოდებელმა. სულ იმპორტით დაკმაყოფილდა ბუნებრივი გაზზე საქართველოს მოთხოვნის 99.8%. ადგილობრივი მოპოვების შესყიდვა და საქართველოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში შემოტანა განახორციელა ოთხმა მიმწოდებელმა, რომელთაგან ერთ-ერთი ასევე არის იმპორტიორი.

აღსანიშნავია, რომ საქართველო შეღავათიან ფასად იძენს ე.წ. „სოციალურ გაზს“, რომელსაც იყენებს მოსახლეობისა და თბოსადგურების მოხმარებისათვის. კომერციულ სეგმენტში კი ბუნებრივი გაზის ფასი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, მიმწოდებლის მიერ საჯაროდ შეთავაზებული ფასის საფუძველზე.

ბუნებრივი გაზის მოხმარების სტრუქტურა და თითოეული სექტორის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ნახაზზე №14.

16 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია



ნახაზი №14. ბუნებრივი გაზის მოხმარება სხვადასხვა სექტორების მიხედვით¹⁷

საქართველოში მიმდინარე გაზიფიცირების პროცესის შესაბამისად, მომხმარებელთა (აბონენტთა) რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. თუმცა, მიუხედავად ამისა, აბონენტთა უმეტესობა ბუნებრივი გაზის ნაცვლად ისევ აქტიურად მოიხმარს შეშას. აბონენტების რაოდენობა წლების მიხედვით მოცემულია ცხრილში №3.

ცხრილი №3. საქართველოში ბუნებრივი გაზის აბონენტთა რაოდენობა

წელი	საყოფაცხოვრებო	არასაყოფაცხოვრებო
2016	1,021,621	33,979
2017	1,116,217	40,910
2018	1,185,858	41,905

¹⁷ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულრებელი ეროვნული კომისია

4. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ენერგეტიკის სექტორში

2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებით, საქართველომ აიღო ვალდებულება, განსაზღვრულ ვადებში, ეტაპობრივად ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის კანონმდებლობის ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან დაახლოებისა. ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება უნდა განხორციელდეს ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში, ამისათვის კი საჭირო იყო საქართველოს განვლიან ენერგეტიკულ გაერთიანებაში. ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველო არ განეწინააღმდეგებოდა ენერგეტიკული გაერთიანებაში, ამ შემთხვევაში, საქართველოს ასოცირების საბჭოსთვის უნდა წარედგინა წინადადება ენერგეტიკულ სექტორში აღებული ვალდებულებების შესრულების ახალი ვადის შესახებ ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის ფორმები და მიდგომები განსაზღვრულია ასოცირების შეთანხმების მე-4 და მე-6 კარებში. კერძოდ, მე-4 კარის მე-8 თავი მიზნად ისახავს საჯარო შესყიდვების განხორციელების გამჭვირვალობას, არადისკრიმინაციულ, კონკურენტულ და ღია ტენდერებს, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის მდგრად განვითარებას. შესაბამისად, ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოში საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობასთან, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის №2004/18/EC დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც ეკონომიკის სხვა ტრადიციულ სექტორებთან ერთად, ეხება წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სექტორებს.

მე-4 კარის მე-11 თავში მოცემულია ენერგეტიკის სფეროში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, ასოცირების შეთანხმებით მხარეები ვალდებული არიან უზრუნველყონ ტრანზიტის¹⁸ განხორციელება მათ მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, რასაც ითვალისწინებს 1994 წლის ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმებისა და ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების დებულებები. თითოეული მხარე ვალდებულია, მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა ტრანზიტის პროცესში ენერგოპროდუქტების ნებისმიერი სახით უკანონო მითვისების აკრძალვისა და ასეთ შემთხვევებზე რეაგირებისათვის. ასევე, თითოეული მხარე პასუხისმგებელია, შექმნას დამოუკიდებელი მარეგულირებელი უწყებები, რომელიც აღჭურვილი იქნება ბუნებრივი გაზის და ელექტროენერგიის ბაზრების რეგულირების უფლებით. ეს მარეგულირებელი უწყებები უნდა იყვნენ იურიდიულად განცალკევებული და ფუნქციონალურად დამოუკიდებელი ერთეულები სხვა ნებისმიერი საჯარო თუ კერძო საწარმოსაგან, ბაზარის მონაწილისა თუ ოპერატორისაგან. ხელშეკრულებით მხარეები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ენერგეტიკული ბაზრების ოპერირება კონკურენტული, უსაფრთხო და ეკოლოგიურად მდგრადი პირობების მისაღწევად, და ასევე არ განახორციელონ საწარმოთა დისკრიმინაცია მათ უფლებებსა თუ ვალდებულებებთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ მხარე არეგულირებს ბუნებრივი გაზის და ელექტროენერგიის გაყიდვის ფასებს ადგილობრივ ბა-

18 მე-4 კარის მე-11 თავის 210-ე მუხლის მიხედვით ტრანზიტი ნიშნავს ენერგოპროდუქტების გატარებას „მხარის“ ტერიტორიაზე სატრანზიტო გადაზიდვის ჩათვლით ან მის გარეშე, საწყობში მოთავსების, ტვირთის ცალკეულ ერთეულებად დანაწევრების ან ტრანსპორტირების ტიპის შეცვლით, როცა ასეთი სახის გატარება შეადგენს სრული მარშრუტის ნაწილს, რომელიც იწყება და სრულდება იმ მხარის ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, რომლის ტერიტორიასაც კვეთს მარშრუტი.

ზარზე, ის ვალდებულია, უზრუნველყოს რეგულირებადი ფასების გამოსათვლელად გამოყენებული მეთოდოლოგიის გამოქვეყნება რეგულირებადი ფასების ძალაში შესვლამდე. აგრეთვე ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია საკუთარ ტერიტორიაზე უზრუნველყოს ენერგიის ტრანსპორტირების საშუალებებზე, ასევე, თხევადი ბუნებრივი გაზისა და სასაწყობე საშუალებებზე მესამე მხარის დაშვების სისტემის განხორციელება, რაც ვრცელდება ყველა მომხმარებელზე და არის გამჭვირვალე, ობიექტური და არადისკრიმინაციული.

მე-11 თავში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თანამშრომლობას ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულებასთან მიმართებაში. ამასთან, თუ არსებობს კონფლიქტი მე-11 თავის დებულებებსა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების დებულებებს ან ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ძალით ევროკავშირის კანონმდებლობაში შესულ დებულებებს შორის, უპირატესობა ენიჭება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების დებულებებს ან ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ძალით ევროკავშირის კანონმდებლობაში შესულ დებულებებს. უპირატესობა ენიჭება კანონებისა და სხვა აქტების მიღებას, რომლებიც თანხვედრაშია ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან ან ეფუძნება ევროკავშირის კანონმდებლობას. თუმცა ასოცირების შეთანხმებაში ასევე მოცემულია დათქმა, რომ ზემოაღნიშნული ძალაში შევა მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველო შეუერთდება ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულებას.

რაც შეეხება ასოცირების შეთანხმების მე-6 კარს, იგი ეხება ენერგეტიკის სექტორში თანამშრომლობას. ენერგეტიკის სექტორში თანამშრომლობას ემყარება პარტნიორობის, საერთო ინტერესების, გამჭვირვალობისა და პროგნოზირებადობის პრინციპებს, რომელიც მიზნად ისახავს ბაზრის ინტეგრაციასა და ეტაპობრივ დაახლოებას საკანონმდებლო დონეზე ენერგეტიკის დარგში, უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა და ხელმისაწვდომი ენერგიის უზრუნველყოფის საჭიროების გათვალისწინებით.

ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის ძირითადი საკითხები:

- ენერგეტიკული სტრატეგიები და პოლიტიკა;
- კონკურენტული, გამჭვირვალე და ეფექტიანი ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება;
- მესამე მხარეს ქსელზე დაშვება და მომხმარებლებზე არადისკრიმინაციული წვდომა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად;
- რეგიონულ ენერგეტიკულ საკითხებზე თანამშრომლობა;
- საქართველოს შესაძლო მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან;
- მიმზიდველი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს შექმნა;
- ენერგორესურსების მინოდების უსაფრთხოების განმტკიცება;
- ბაზრის ინტეგრაციის გაზრდა და ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობის უმთავრეს ელემენტებთან;
- ენერგორესურსებით ვაჭრობის, ტრანზიტისა და ტრანსპორტირების, ფასების პოლიტიკის გრძელვადიანი სტაბილურობისა და უსაფრთხოების გაღრმავება და განმტკიცება;
- ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება და ხელშეწყობა;
- სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა;
- ბირთვული უსაფრთხოებისა და რადიაციული დაცვის სფეროში თანამშრომლობა.

ზემოაღნიშნული სფეროების გათვალისწინებით, ასოცირების შეთანხმების XXV დანართში აღწერილია ენერგეტიკის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის მიმართულებები, კერძოდ:

- ელექტროენერგეტიკული სექტორი;
- ბუნებრივი გაზის სექტორი;
- განახლებადი ენერგია;
- ენერგოეფექტურობა;
- ნავთობი;
- ენერგოსტატისტიკა.

XXV-ე დანართში დეტალურად არის განერილი ევროკავშირის შესაბამისი დირექტივის ნომერი და სახელწოდება, რაც უნდა შესრულდეს წინასწარგანსაზღვრულ პერიოდში.

ასოცირების შეთანხმების მნიშვნელოვანი ნაწილია თანამშრომლობა ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების საკითხებზე. ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება არის საერთაშორისო შეთანხმება, რომელსაც ხელი მოეწერა 2005 წლის ოქტომბერში ევროკავშირსა და 9 მოკავშირე ქვეყანას შორის და ძალაში შევიდა 2006 წლის ივლისში. ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულება, 1991 წელს მიღებული ენერგო ქარტია, 1994 წელს მიღებული ენერგოქარტიის ხელშეკრულება და სხვა მთელი რიგი სამართლებრივი აქტები და რეგულაციები, რომლებიც ევროკომისიისა და პარლამენტის მიერ მტკიცდება და ევროკავშირის ენერგეტიკული სფეროს ეგრეთ წოდებულ **Acquis Communautaire**-ს ანუ მოქმედ საერთო სავალდებულო სამართლებრივ აქტებს წარმოადგენს. ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების პერიოდში საქართველოს, ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან მიმართებით, 2007 წლიდან დამკვირვებლის სტატუსი ჰქონდა. ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების პრიორიტეტული მიმართულებებია:

- სტაბილური და გამჭვირვალე შიდა ენერგობაზრის ფორმირება;
- ენერგოეფექტურობის გაზრდა;
- განახლებადი ენერგიის გენერირების მასშტაბების გაფართოება;
- ენერგიის მიღების, გარდაქმნის, ტრანსპორტირება/განაწილებისა და მოხმარების სფეროში ეკოლოგიური ნორმების დაცვა.

2017 წლის 24 აპრილს საქართველოს პარლამენტმა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების შესახებ 2016 წლის 14 ოქტომბერს ხელმოწერილი ოქმის რატიფიცირება მოახდინა. აღნიშნული ოქმის საფუძველზე საქართველო მიუერთდა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას და მისი რატიფიცირების შესაბამისად გახდა ენერგეტიკული გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი. აღნიშნული ოქმის საფუძველზე ასევე განისაზღვრა საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობის (**Acquis Communautaire**) იმპლემენტაციის ვადები. აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის ფორმატით განისაზღვრა საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების ვადები და განხორციელების პირობები.

ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმში ასახულია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით შესასრულებელი ვალდებულებების უმეტესობა. ამასთან, ასოცირების შეთანხმებით ენერგეტიკის სფეროს დებულებებსა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ოქმით გათვალისწინებულ დებულებებს ან ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ძალით ევროკავშირის კანონმდებლობაში შესულ დებულებებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების დებულებებს ან ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ძალით ევროკავშირის კანონმდებლობაში შესულ დებულებებს. შესაბამისად, ენერგეტიკის სფეროში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები და შესაბამისი იმპლემენტაციის ვადები როგორც ასოცირების შეთანხმების, ისე ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების მიერთების ფარგლებში მოცემულია დანართში 2. აღსანიშნავია, რომ ასოცირების შეთანხმებაში მოცემული დირექტივებისა და რეგულაციების მოთხოვნათა იმპლემენტაცია ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების ოქმით ითვალისწინებს ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყნებისთვის ადაპტირებული (შეცვლილი) სახით დირექტივებისა და რეგულაციების მოთხოვნათა შესრულებას.

ასოცირების შეთანხმებისა და ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების ოქმით აღებული ვალდებულებების დროული და ეფექტური შესრულების ვალდებულება დაეკისრათ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, რომელიც ამჟამად შესულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში, და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების მიერთების ოქმით ზემოაღნიშნული დირექტივების საკანონმდლო დონეზე იმპლემენტაციის შემდეგ საქართველოს აქვს დამატებით 1 წლიანი ვადა მათი პრაქტიკაში დასანერგად. საქართველოს მიერ აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ენერგეტიკული გაერთიანების მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ფინანსური ჯარიმები.

4.1. ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო მექანიზმები

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებით ჩამოყალიბდა თანამშრომლობის მექანიზმები. კერძოდ, 2014 წელს განისაზღვრა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთთანამშრომლობის ახალი ინსტიტუციური ფორმატი. ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, მაღალი დონის პერიოდული პოლიტიკური დიალოგი იმართება ასოცირების საბჭოს ფარგლებში. ასოცირების საბჭო შედგება, ერთი მხრივ, ევროკავშირის საბჭოს წევრებისა და ევროკომისიის წევრების და, მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობის წევრებისგან და მინისტრების დონეზე იკრიბება წელიწადში ერთხელ.

ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, ასევე შეიქმნა ასოცირების კომიტეტი, რომელიც ეხმარება ასოცირების საბჭოს ცალკეული მოვალეობებისა და ფუნქციების განხორციელებაში. თავის მხრივ, ასოცირების კომიტეტს დახმარებას უწევს ასოცირების ქვეკომიტეტები. ასოცირების შეთანხმების ფარგლებში შეიქმნა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების 6 დარგობრივი და ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეკომიტეტი. საქართველოს მხრიდან ასოცირების შეთანხმების ქვეკომიტეტების კოორდინაციას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახორციელებს.

ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში ასევე ამოქმედდა საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი. კომიტეტი შედგება, ერთი მხრივ, ევროპარლამენტის წევრების და, მეორე მხრივ, საქართველოს პარლამენტის წევრებისგან. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა შეხვედრისა და აზრთა ურთიერთგაცვლის ფორუმს წარმოადგენს. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს შეუძლია შექმნას საპარლამენტო ასოცირების ქვეკომიტეტები.

საქართველო ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა საინფორმაციო პორტალი. სახელმწიფო მინისტრის აპარატის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) თანამშრომლობის შედეგად გაკეთდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებული ინტერნეტ გვერდი (<https://aa-monitoring.ge>). საინფორმაციო პორტალის მიზანია, საზოგადოებას მიანოდოს ინფორმაცია ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების, რეფორმებისა და ცვლილებების შესახებ.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელებისათვის საქართველოს მთავრობა განკარგულებით ამტკიცებს ყოველწლიურ ეროვნულ სამოქმედო გეგმას და ყოველწლიურადვე აქვეყნებს წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. ქვემოთ წარმოდგენილია ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის ნაწილში ეროვნული სამოქმედო გეგმა და მისი შესრულების ანგარიში წლების მიხედვით. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ერთგვარ თვითშეფასებას. რაც შეეხება ევროკავშირის შესაბამისი სამსახურების მხრიდან საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შეფასებას, ამის შესახებ ცალკე თავში გვექნება საუბარი.

4.2. ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღისწესრიგი

ასოცირების შეთანხმებით გაწერილი პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნების მისაღწევად ასოცირების შეთანხმებას ხელმონერამდე ევროკავშირმა და საქართველომ ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის მოსამზადებლად და ხელშესაწყობად მიიღეს ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც წარმოადგენს ერთობლივი მუშაობის პრიორიტეტთა იდენტიფიცირების ჩარჩო მექანიზმს.

2017-2020 წლების დღის წესრიგი ეყრდნობა და აახლებს 2014-2016 წლების დღის წესრიგს, სადაც განსაზღვრულია ერთობლივი მუშაობის ახალი პრიორიტეტები 2017-2020 წლებისათვის. აღნიშნული დღის წესრიგი ერთმანეთისაგან განასხვავებს მოკლევადიან პრიორიტეტებსა და საშუალოვადიან პრიორიტეტებს. მოკლევადიანი პრიორიტეტების მიღწევა ან მნიშვნელოვანი პროგრესი ნავარაუდები იყო 2018 წლის დასასრულისათვის, ხოლო საშუალოვადიანი პრიორიტეტები მიღწეულ უნდა იქნას ან მათი შესრულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესი უნდა შეიმჩნეოდეს 2020 წლის დასასრულისათვის.

2017-2020 წლების დღის წესრიგის მიხედვით ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობისათვის განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები:

მოკლევადიანი პრიორიტეტები:

- ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, ენერგოგაერთიანების ხელშეკრულებასთან საქართველოს, როგორც ხელშეკრულების დამდები მხარის, ფორმალური მიერთების დასრულება;
- ელექტროენერგიის, განახლებადი ენერგიის, ენერგოეფექტურობის, ნავთობის, გაზის, ენერგეტიკული სტაბილურობის, ენერგეტიკასთან დაკავშირებული გარემოს დაცვის, ჰიდროკარბონატების აღმოჩენის სფეროებში შესაბამისი კანონმდებლობის იმპლემენტაცია, რომელიც შეესაბამება ენერგოგაერთიანების ხელშეკრულებასთან შეერთების შესახებ ოქმში გაწერილ ნორმებსა და პირობებს და ასოცირების შეთანხმებას.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები:

- გადაიდგას ნაბიჯები საქართველოს ენერგობაზრის ევროკავშირის ბაზართან ინტეგრაციისათვის, გაძლიერდეს საქართველოს ენერგოუსაფრთხოება. ასოცირების შეთანხმების, ენერგეტიკულ გაერთიანებასთან აღებული ვალდებულებების გათვალისწინებითა და აღნიშნულ სამოქმედო ჩარჩოებში შეთანხმებული ვადების მიხედვით, მოხდეს საქართველოს შესაბამისი რეგულაციური შერწყმა ევროკავშირის კანონმდებლობასთან, მეორადი კანონმდებლობის ჩათვლით;
- მდგრადი ენერგოგანვითარებისათვის საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად თანამშრომლობა, მაგალითად, საერთაშორისო კლიმატური ფონდებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუციებიდან;
- საქართველოს ენერგოინფრასტრუქტურის ქსელისა და ურთიერთდამაკავშირებელი სისტემების გაძლიერება, კერძოდ:
 - ელექტროენერგიასთან დაკავშირებით: ტრანსსასაზღვრო ვაჭრობისა და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთდამაკავშირებელი სისტემების გაძლიერება და საქართველოს ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის გაუმჯობესება;
 - ბუნებრივ გაზთან დაკავშირებით: მთავარი მილსადენების გაფართოება, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ კავკასიის მილსადენის განვრცობის იმპლემენტაციის ხელშეწყობა, ისევე როგორც სხვა გაზის და ნავთობის სატრანზიტო რეგიონალური მნიშვნელობის მქონე პროექტების მხარდაჭერა/ნახაზისება დასავლეთის ბაზარზე კასპიის ენერგორესურსების გატანის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მინისქვეშა გაზის მოპოვების განვითარება საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გასაძლიერებლად.

4.3. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის განხორციელების შესრულების მდგომარეობა

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების შესრულების მდგომარეობა განვიხილავთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ ყოველწლიურ ანგარიშებში. კერძოდ, 2018 წლის ანგარიშის მიხედვით:

1. შემუშავდა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონპროექტი, რომელიც წარედგინა საქართველოს მთავრობას 2018 წლის ბოლოს, კანონპროექტი მოწონებული იქნა შენიშვნებით. 2019 წელს იგეგმება მისი პარლამენტში წარდგენა. აღნიშნული კანონპროექტი ითვალისწინებს ასოცირების შეთანხმებაში მოცემული შემდეგი დირექტივებისა და რეგულაციების მოთხოვნათა იმპლემენტაციას ენერგეტიკული გაერთიანების მიერ თავისი წევრი ქვეყნებისთვის ადაპტირებული (შეცვლილი) სახით და ასევე ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების შესახებ 2016 წლის 14 ოქტომბრის ოქმით განსაზღვრული გამონაკლისების გათვალისწინებით:
 - ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის 2009/72/EC დირექტივა ელექტროენერგიის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ;
 - ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის N714/2009 რეგულაცია ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ქსელზე დაშვების პირობების შესახებ;
 - 2006 წლის 18 იანვრის 2005/89/EC დირექტივა ელექტროენერგიის მიწოდებისა და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ;
 - 2009 წლის 13 ივლისის N2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ;
 - 2009 წლის 13 ივლისის N715/2009 (EC) რეგულაცია ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელზე დაშვების პირობების შესახებ;
 - 2004 წლის 26 აპრილის N2004/67/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ.
2. „რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: ქვესადგურების და ელექტროგადამცემი ხაზების (ეგხ) მშენებლობა/რეკონსტრუქცია. კერძოდ:
 - 220კვ ქვესადგური „თელეთი“ მშენებლობა – შესრულებულია სამუშაოების 70%;
 - 35/10 კვ ქვესადგური „შინდისი“ მშენებლობა – შესრულებულია სამუშაოების 80%;
 - 35 კვ. ეგხ „თელეთი-შინდისი“ მშენებლობა – დასრულდა;
 - 220 კვ. ეგხ. „ალავერდის“ რეკონსტრუქცია (გაორჯაჭვიანება) – დასრულდა;
 - 35 კვ. ეგხ „მესტია-იფარის“ შესვლა ქ/ს „კახარში“ – დასრულდა;
 - 110 კვ. ეგხ. „კახარი-იფარის“ რეკონსტრუქცია – დასრულდა;
 - 500 კვ გადამცემი ხაზის „ქსანი-სტეფანნმინდა“ მშენებლობა – შესრულებულია სამუშაოების 96%; 220კვ ეგხ–ს მშენებლობა ქ/ს „ჯვარი“ – ქ/ს „ხორგა“ (~60კმ) და არსებული 500კვ. ეგხ კავკასიონის შეჭრა ქ/ს-ში „ჯვარი“ (8 კმ) – შესრულებულია სამუშაოების 45-50%;
 - 220/110 კვ ეგხ ბათუმი-ახალციხის მშენებლობა – შესრულებულია სამუშაოების 74%;
 - 110 კვ. ეგხ „ხუდონის“ რეკონსტრუქცია – დასრულდა.
3. საქართველოს კანონმდებლობის 1994 წლის 30 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 94/22/EC დირექტივასთან „ნახშირწყალბადის რესურსების ძიების, მოპოვებისა და წარმოების ნებართვების მიღებისა და გამოყენების პირობების შესახებ“ დაახლოების მიზნით,

ნავთობისა და გაზის მარეგულირებელ ეროვნულ წესებში შეტანილია ცვლილებები ევრო-დირექტივა 94/22/EC პირობების შესაბამისად.

4. 2018 წლის ბოლოს, ენერგოეფექტურობის შესახებ შემუშავებული კანონის პროექტი მთავრობის-მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნებით, ასევე განახლდა ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის პროექტი მიმდინარე ცვლილებების ასახვის მიზნით.
5. 2010/30/EU დირექტივაზე დაყრდნობით, მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „ენერგოეტიკეტირების“ შესახებ და 2018 წლის 27 დეკემბერს მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობისმიერ. აღნიშნული კანონპროექტი წარმოადგენს ენერგოპაკეტის შემადგენელ ნაწილს. ამასთანავე, კანონპროექტის გარდა, 2018 წელს მომზადდა 8 ტექნიკური რეგლამენტის პროექტი, რომლებიც აუცილებელია კანონის სრულყოფილად ამოქმედებისათვის. 2018 წელს აღნიშნული დირექტივა შეიცვალა 2017/1369 რეგულაციით და 2019 წლის ბოლომდე დაგეგმილია კანონპროექტის ახალი რეგულაციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

რაც შეეხება 2017 წლის შესრულების ანგარიშს, 2017 წლის ივლისში საქართველო გახდა „ენერგეტიკული გაერთიანების“ სრულყოფილი წევრი და დასრულდა ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება და მიმდინარეობდა საბოლოო განხილვები. ამასთან, მომზადდა ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტი 1994 წლის 30 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 94/22/EC დირექტივის „ნახშირწყალბადის რესურსების ძიების, მოპოვებისა და წარმოების ნებართვების მიღებისა და გამოყენების პირობების შესახებ“ შესაბამისად.

2016 წლის შესრულების ანგარიშში კი აღნიშნულია, რომ 2016 წლის 14 ოქტომბერს, ქ. სარაევოში „ენერგეტიკული გაერთიანების“ მინისტრიალის ფარგლებში, ხელი მოეწერა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმს“. „სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემის“ გაფართოების პროექტის მიზნებისათვის სახელმწიფო და კერძო მიწებზე გაცემულია უფლების დამადასტურებელი საჭირო დოკუმენტაცია. შემუშავებულია ქვეყნის ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმის (NEEAP) პროექტი და „რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით განხორციელდა ქვესადგურების მშენებლობა/რეკონსტრუქციისა და ელექტროგადამცემი ხაზების (ეგხ) მშენებლობა/რეკონსტრუქციის მიზნით დაგეგმილი სამუშაოების ძირითადი ნაწილი.

2015 წლის ივლისში, ცვლილებები შევიდა „ნავთობისა და გაზის შესახებ საქართველოს კანონში“, ნახშირწყალბადის რესურსების მოპოვებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის ნებართვების მიღების პროცესის გამარტივების მიზნით. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და ევროპის რეკონსტრუქციის განვითარების ბანკს (EBRD) შორის ხელი მოეწერა დოკუმენტს საქართველოს ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით. ასევე, 2012/27/EC დირექტივის მიხედვით, მომზადდა ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის პირველი სამუშაო დოკუმენტი. „რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში მიმდინარე სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების უმეტესი ნაწილი შესრულებულია. „ელექტროენერგიის გადაცემის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის პროექტის“ ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ დასრულდა 10 ქვესადგურის დაცვისა და მართვის სისტემების რეაბილიტაციის პროექტი, აგრეთვე, შესყიდულ იქნა 35/10/6 კვ. გამანაწილებელი მოწყობილობები (12 ქვესადგური).

რეგიონული პროექტების განხორციელების ხელშეწყობის ფარგლებში, 2015 წელს, თურქეთის რესპუბლიკაში გაიმართა „ტრანსანატოლიის ბუნებრივი გაზსადენის“ (TANAP) პროექტის საძირკვლის ჩაყრის ცერემონია. „სამხრეთ ბუნებრივი აირის დერეფნის გაფართოების პროექტის“ (SCPX) განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, მთავრობის დადგენილების საფუძველზე, სახელმწიფომ გასცა საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობებისათვის მიწით სარგებლობის ნებართვები, ნაკვეთების უმეტეს ნაწილზე. აგრეთვე, ქ. ბუქარესტში, აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის პროექტის (AGRI) ხელშეწყობის

მიზნით გაიმართა მინისტერიალი, სადაც მხარეებმა ხელი მოაწერეს პროექტის ერთობლივ დეკლარაციას. მომზადდა აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის (AGRI) პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტი.

4.4 ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად 2019-2020 წლებში დაგეგმილი ღონისძიებები

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან უწყებას, რომელიც ხელს უწყობს, ზედამხედველობს და მონიტორინგს უწევს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების საქართველოს მიერ დროულ და ეფექტიან განხორციელებას.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით დაგეგმილია რიგ დირექტივებთან და რეგულაციებთან საქართველოს კანონმდებლობის ნაწილობრივ ან/და სრულად ჰარმონიზება, რომელიც მოცემულია დანართში №3.

5. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა

ასოცირების შეთანხმებით და ენერგეტიკულ გაერთიანების ხელშეკრულებასთან მიერთებით საქართველომ აიღო ვალდებულება, ქვეყნის ენერგეტიკის სფეროში განახორციელოს რიგი რეფორმები, რომელიც მიზნად ისახავს ევროპის ენერგეტიკული დირექტივებისა და რეგულაციების მოთხოვნების საქართველოს ენერგეტიკულ კანონმდებლობაში ჰარმონიზაციას და შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის ევროპულ ენერგეტიკულ ბაზართან დაახლოებას. აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკულ გაერთიანების ხელშეკრულებით, გათვალისწინებულია ევროპის ენერგეტიკული დირექტივები ადაპტირებული სახით, რომლებიც მუდმივად განიცდის ცვლილებებს და ადაპტირდება.

მუშაობა მიმდინარეობს ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციაზე, რაც გულისხმობს მონოპოლიური და კონკურენტული საქმიანობების გაყოფას. ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის და შესაბამისი ბაზრების ფუნქციონირების მთავარი პრინციპებია გამჭვირვალობა, არადისკრიმინაციულობა და, რაც მთავარია, ბაზარებზე, სადაც ეს შესაძლებელია, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება და უზრუნველყოფა. ქვემოთ ნაჩვენებია ასოცირების შეთანხმებით და ენერგეტიკულ გაერთიანებაში განეწიანებით, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა დირექტივებითა და რეგულაციებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

5.1 მესამე ენერგეტიკული პაკეტი

მესამე ენერგეტიკული პაკეტი, რომელიც ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ძირითადი შემადგენელი ნაწილია 2009 წელს შევიდა ძალაში. იგი მიზნად ისახავს როგორც ევროკავშირის, ისე ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყნების ენერგეტიკული ბაზრების სტრუქტურულ სირთულეებთან გამკლავებას და ლიბერალიზაციისა და ჰარმონიზაციის ხელშეწყობას. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი მე-20 საუკუნის ბოლოდან დაიწყო, მაშინ, როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული ენერგეტიკული სექტორები წარმოადგენდა მონოპოლიურ ბაზრებს, რომლებიც იმართებოდა ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების მიერ. ასეთი სტრუქტურა, ერთი მხრივ, საშუალებას არ იძლეოდა ბაზრის მონაწილეებს შორის (მიმწოდებლები, ელექტროენერგიის მწარმოებლები და სხვ.) ბაზრებზე კონკურენტული ურთიერთობების ჩამოყალიბების და მეორე მხრივ, საშუალებას არ აძლევდა მომხმარებლებს თავისუფლად შეერჩიათ მიმწოდებლები. თავის მხრივ, ენერგეტიკულ ბაზრებზე კონკურენციის დანერგვა ხელს შეუწყობდა ფასების შემცირებას, მომსახურების ხარისხის გაზრდას და მიწოდების საიმედოობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროკავშირის ქვეყნებმა დაიწყეს ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაცია. ამასთან ერთად, შეიქმნა ევროკავშირის ერთიანი შიდა ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბების სტრატეგია, რომელიც ეტაპობრივად ვითარდება. ყოველივე ამას კი საფუძვლად დაედო ევროკავშირის მიერ შემუშავებული ენერგოდირექტივები, რომლებიც განსაზღვრავს როგორც ენერგეტიკის, ისე გაზის სექტორში მონაწილეების ფუნქცია-მოვალეობებს და ადგენს ბაზრის მონოპოლიური მოდელიდან კონკურენტულ მოდელზე გადასვლის მოთხოვნებსა და პირობებს. აღნიშნული დირექტივები დროთა განმავლობაში იცვლებოდა და ახლდებოდა.

დღეისათვის არსებობს ენერგოდირექტივების სამი პაკეტი. პირველი ენერგეტიკული პაკეტი 1996 წელს იქნა მიღებული, რომელიც ადგენს ევროპის ქვეყნების ერთიანი შიდა ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბების წესებს. პირველი პაკეტით განსაზღვრულია ენერგეტიკული სექტორის სტრუქტუ-

რისა და ფუნქციონირების ზოგადი პრინციპები და კრიტერიუმები და აგრეთვე გენერაციის, განაწილებისა და გადაცემის სეგმენტებში კომპანიების ფუნქციონირების საერთო წესები. მაგალითად, ენერგეტიკულ სანარმოებს, რომლებსაც აქვთ აქტივები ორ სხვადასხვა სეგმენტში პირველი პაკეტის ფარგლებში ვალდებული იყვნენ, ენარმოებინათ გამჭვირვალე ფინანსური ანგარიშშორება ასეთი საქმიანობებისთვის ცალ-ცალკე.

მეორე ენერგეტიკული პაკეტი მიღებულ იქნა 2003 წელს. იგი უფრო დეტალურად აღწერს პირველ პაკეტში ერთიანი შიდა ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების წესებს. ამ პაკეტში განხილულია ის ღონისძიებები და ნაბიჯები, რომლებიც ევროპის კონკურენტული, საიმედო და ეკონომიკურად მდგრადი ენერგეტიკული ბაზრის შემდგომი განვითარებისათვის იყო აუცილებელი. მაგალითად, მეორე ენერგეტიკული პაკეტის მიხედვით ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან უზრუნველყონ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოება, სტაბილურობა, სამართლიანი ფასისა და ხარისხის შენარჩუნება გარემოზე ნაკლები ზიანის მიყენებით. აგრეთვე, აუცილებელი ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული წევრი ქვეყნების მიერ, რათა ყველა ტიპის მომხმარებელს ჰქონოდა ელექტროენერგიაზე და ბუნებრივ გაზზე წვდომა. განაწილებისა და გადაცემის სეგმენტები შესაძლებელი იყო ყოფილიყო ერთი კომპანიის გამგებლობაში. დისკრიმინაციისა და ჯვარედინი სუბსიდირების თავიდან ასაცილებლად ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანია ვალდებული იყო ენარმოებინა საქმიანობის ფინანსური აღრიცხვა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამიტომ გადაცემისა და განაწილების სისტემის ოპერატორებს უნდა დაეკმაყოფილებინათ შემდეგი კრიტერიუმები:

- ერთ კომპანიაში მყოფი გადაცემისა და განაწილების სისტემის ოპერატორები არ შეიძლება ყოფილიყვნენ პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთობლივად ჩართულნი ელექტროენერგიის ყოველდღიურ გადაცემა, განაწილებასა და მიწოდებაში;
- გადაცემისა და განაწილების სისტემის ოპერატორებს უნდა შეესრულებინათ საკუთარი საქმიანობა დამოუკიდებლად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვერტიკალურად ინტეგრირებულ კომპანიაში იყვნენ გაერთიანებულნი;
- გარდამავალ პერიოდში მარეგულირებლის მიერ უნდა შექმნილ იყო სხვადასხვა მექანიზმი განაწილებისა და გადაცემის სისტემის ოპერატორების საქმიანობის მონიტორინგის გასაწევად.

უკვე 2009 წელს მიღებულ იქნა მესამე ენერგეტიკული პაკეტი. იგი მიზნად ისახავს ევროკავშირის ენერგეტიკული სექტორის ლიბერალიზაციისა და რესტრუქტურულიზაციის პროცესის მიღწევების შენარჩუნებასა და წარმოჩენილი დაბრკოლებების გადალახვას. კერძოდ:

- ევროპის ენერგეტიკულ ბაზრებზე ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზით ვაჭრობის სფეროში, მიწოდების უსაფრთხოების მოთხოვნათა სათანადოდ დაცვით, თავისუფალი და კონკურენტული ურთიერთობების ხელშეწყობას და ბაზრების გახსნას;
- ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის უფლებამოსილების გაზრდას;
- ელექტროენერგიის გადამცემი ან გამანაწილებელი საქმიანობის გამიჯვნას წარმოებისა და მიწოდების საქმიანობისაგან;
- ბაზრის შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის შესასუსტებლად, გარკვეული პერიოდით, კონკრეტული ენერგეტიკული სანარმოს მიმართ სახელმწიფოსმიერ საჯარო მომსახურების ვალდებულების განსაზღვრას;
- ენერგეტიკის მარეგულირებელი თანამშრომლობის სააგენტოს დაარსებას (ACER).

ზემოჩამოთვლილის გათვალისწინებით, მესამე ენერგეტიკული პაკეტის ფარგლებში გადაიხედა უკვე არსებული და შემუშავდა ახალი წესები, ევროკავშირის ერთიანი შიდა ენერგეტიკული ბაზრის შექმნის პროცესის საბოლოო ეტაპზე გადასვლის ხელშესაწყობად. მესამე პაკეტი ითვალისწინებს მომხმარებლების მიერ ელექტროენერგიის მიწოდებლის (საცალო ვაჭრობა) თავისუფალ შერჩევას, უფრო სამართლიან ფასებს ელექტროენერგიაზე, „მწვანე“ ელექტროენერგიის მიწოდებას და ენერგოუსაფრთხოების გაზრდას. ამ მიზნების მისაღწევად ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან:

- მოახდინონ გენერაციისა და მიწოდების სეგმენტების გამოყოფა ქსელური საქმიანობისგან – განაწილება და გადაცემა, როგორც ფინანსურად, ისე იურიდიულად;
- ხელი შეუწყონ ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობას და თანამშრომლობას სხვა ქვეყნებთან;
- გაზარდონ მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციები;

- ხელი შეუწყონ ინვესტიციების მოზიდვას ენერგეტიკის სექტორში;
- უზრუნველყონ ქსელური საქმიანობის მეტი გამჭვირვალობა;
- მომხმარებლების ინტერესების დაცვის მიზნით გაზარდონ გამჭვირვალობა საცალო ბაზრებზე;

ენერგეტიკული დირექტივების მეორე პაკეტისგან განსხვავებით, მესამე პაკეტის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, მოხდეს ქსელური საქმიანობის – განაწილებისა და გადაცემის ერთმანეთისაგან როგორც ფინანსური, ისე იურიდიული გაყოფა. აღნიშნული გულისხმობს, რომ გადაცემის ქსელის მფლობელები და სისტემის ოპერატორები უნდა იყვნენ სხვადასხვა დამოუკიდებელი და არა – ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიები. ასეთ შემთხვევაში ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანია შესაძლებელია ფლობდეს როგორც განაწილების, ისე გადაცემის ხაზებს და აქტივებს, მაგრამ გადაცემის სისტემის დისპეტჩერიზაცია უნდა მოხდეს სისტემის დამოუკიდებელი ოპერატორის მიერ. რაც შეეხება განაწილების სისტემის ოპერატორს, მესამე დირექტივის მიხედვით, შესაძლებელია, რომ ის იმყოფებოდეს ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიის ქვეშ. თუმცა ამ შემთხვევაში სავალდებულოა, მოხდეს მისი ფინანსური ანგარიშსწორების დამოუკიდებლად წარმოება და სამართლებრივი გამიჯვნა. ძირითადი განსხვავებები ენერგოდირექტივების მეორე და მესამე პაკეტებს შორის მოცემულია ცხრილში №4.

ცხრილი №4. მეორე და მესამე ენერგეტიკულ პაკეტებს შორის განსხვავებები

	მეორე პაკეტი (2003 წელი)	მესამე პაკეტი (2009 წელი)
ენერგეტიკის სფეროში ახალი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის უფლების მოპოვება	ავტორიზაცია, ტენდერი	ავტორიზაცია
გადამცემი ქსელის გამოყოფა წარმოებისა და მიწოდების სეგმენტებისაგან	ფინანსური; მმართველობითი; იურიდიული;	მფლობელობითი; დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორი; დამოუკიდებელი გადაცემის ქსელის მფლობელი;
განაწილებელი ქსელის გაყოფა წარმოებისა და მიწოდების სექტორებისაგან	ფინანსური; მმართველობითი; იურიდიული;	სავალდებულოა იურიდიული გამოყოფა ¹⁹
მარეგულირებელი ორგანო	დამოუკიდებელია ენერგო ინდუსტრიული სექტორისაგან	დამოუკიდებელია როგორც ენერგო ინდუსტრიული სექტორისაგან, ისე მთავრობისაგან
მესამე მხარის ქსელზე დაშვება	სავალდებულოა	სავალდებულოა

მესამე ენერგეტიკული პაკეტი მოიცავს შემდეგ დირექტივებს და რეგულაციებს:

- 2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს N2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ;
- 2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს N715/2009 რეგულაცია, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ქსელებზე დაშვების პირობების შესახებ;
- 2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს N2009/72/EC დირექტივა ელექტროენერგიის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ;
- 2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს N714/2009 (EC) რეგულაცია ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გაცვლის სისტემებზე დაშვების პირობების შესახებ;

მესამე ენერგეტიკული პაკეტით შემოთავაზებულია ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის საქმიანობების გამიჯვნის 3 მოდელი:

19 აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება იმ შემთხვევაში თუ ვერტიკალურად ინტეგრირებულისაწარმო (განაწილება და მიწოდება ერთად) ემსახურება 100 000-ზე ნაკლებ მომხმარებელს.

1. ქონებრივი განცალკევება (OU): ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანია ვალდებულია ქონებრივად გამიჯნოს გადამცემი სისტემის ოპერატორის საქმიანობა მიწოდებისა და გენერაციის საქმიანობებისგან, რაც გულისხმობს, რომ მიწოდების ან გენერაციის სეგმენტებში მოქმედ კომპანიას არ აქვს უფლება ჰქონდეს აქციების საკონტროლო პაკეტი ან რაიმე სახით ჩართული იყოს გადამცემი სისტემის ოპერატორის მართვაში;
2. დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორი (ISO): გადამცემი სისტემის ოპერატორი თვითონ არ არის მე-საკუთრე, მაგრამ გადამცემი ქსელის მესაკუთრეები ვალდებული არიან, ითანამშრომლონ მასთან, გადასცენ ფლობაში მათი კუთვნილი ქსელი, რის საფუძველზეც აღნიშნული ქსელის მართვა, შენახვა და ინვესტიციების განხორციელების საკითხები წარმოადგენს დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის ძირითად ფუნქციებს.
3. დამოუკიდებელი გადამცემი სისტემის ოპერატორი (ITO): ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმო შეიძლება ფლობდეს და მართავდეს ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი გაზის ქსელებს, თუმცა ასეთი საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ შვილობილი კომპანიის საშუალებით.

რაც შეეხება გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების გამიჯვნის საკითხს, მესამე ენერგეტიკული პაკეტით გათვალისწინებულია შედარებით „რბილი ვალდებულება“ გადამცემი სისტემის ოპერატორებისგან განსხვავებით. კერძოდ, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებისათვის შესაძლებელია სამართლებრივი და ფუნქციური გამიჯვნა ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოსაგან. სამართლებრივი კუთხით გამიჯვნაში იგულისხმება გამოყოფილი სამართლებრივი სუბიექტის ჩამოყალიბება, ხოლო ფუნქციური გამიჯვნის თვალსაზრისით – ორგანიზაციული და გადაწყვეტილების მიღების დამოუკიდებლობა, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ასეთი კომპანიის (წარმოების, გადაცემის, მიწოდების ან/და ყოველდღიურ საქმიანობაში ვაჭრობის) მენეჯმენტის განცალკევებას გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მართვაზე პასუხისმგებელი პირებისაგან.

მესამე ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყანაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამოუკიდებელი და ძლიერი მარეგულირებელი ორგანოს არსებობა. შესაბამისად, მარეგულირებელი ორგანო უნდა იყოს სამართლებრივად განცალკევებული და ფუნქციურად და ფინანსურად დამოუკიდებელი ნებისმიერი სხვა საჯარო თუ კერძო ორგანოსა და მთავრობისგან. მარეგულირებელმა ორგანომ თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს მიუკერძოებლად, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებზე დაყრდნობით.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, მათთვის არჩევანის თავისუფლების შეთავაზება და მაქსიმალური სარგებლის მიღების შესაძლებლობა არის მესამე ენერგეტიკული პაკეტის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. აღნიშნული მეტწილად უზრუნველყოფილია ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის მაღალი დონით, საცალო ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობით, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს აირჩიოს ან/და შეცვალოს არსებული მიწოდებლები საკუთარი პრიორიტეტების მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებასთან ერთად, საბოლოო მომხმარებლებისა და ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინტერესების დაცვის მიზნით, მესამე ენერგეტიკული პაკეტი უფლებას აძლევს ენერგეტიკული გაერთიანების წევრ ქვეყნებს, გამოიყენონ ე.წ. საჯარო მომსახურების ვალდებულების დაკისრების მექანიზმი. ამ მექანიზმის ფარგლებში კომპანიას სახელმწიფოსაგან, საბაზრო საქმიანობისთვის, უდგინდება რეგულირებული პირობები. მაგალითად, ენერგეტიკული პროდუქტის ფასზე. ამ მექანიზმის გამოყენების საჭიროება განპირობებულია იმით, რომ სახელმწიფოს ჩაურევლობის შემთხვევაში, შესაძლებელია საზოგადოებამ ვერ მიიღოს სათანადო სარგებელი ან მიიღოს არასათანადო ხარისხის მომსახურება. მესამე ენერგეტიკული პაკეტი ითვალისწინებს სამი სახის საჯარო მომსახურების ვალდებულებას. კერძოდ, უნივერსალური მომსახურება ელექტროენერგეტიკულ სექტორში, ბუნებრივი გაზის მიწოდება საჯარო მომსახურების სახით და ბოლო იმედის მიწოდება. უნივერსალური მომსახურება გულისხმობს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის, და, საჭიროების შემთხვევაში, მცირე ბიზნესისათვის ელექტროენერგიის მიწოდებას სათანადო ხარისხითა და ხელმისაწვდომ ფასად. ბოლო იმედის მიწოდება მიზნად ისახავს იმ მომხმარებლების დაცვას, რომლებმაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ აირჩიეს, ან დაკარგეს ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდებელი. ბოლო იმედის მიწოდების მომსახურება ასეთ მომხმარებლებისათვის აქტიურდება ავტომატურად, თუცმა მაქსიმუმ სამი თვის ვადით.

მესამე ენერგეტიკული პაკეტით გათვალისწინებული დირექტივებითა და რეგულაციებით განპირობებული მოთხოვნები ასახულია ენერგეტიკისა და წყალმომარაგების საქართველოს კანონში, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 27 დეკემბერს მიიღო. აღნიშნული კანონის შესაბამისად, საქართ-

ველომ არჩევანი უნდა გააკეთოს გადამცემი სისტემის ოპერატორის გამიჯვნის მხოლოდ ორ მოდელს შორის, კერძოდ, ქონებრივი განცალკევებასა (OU) და დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის (ISO) შორის. საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში გადაცემის ლიცენზიას სამი კომპანია ფლობს: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, სს „საქრუსენერგო“ და შპს „ენერგოტრანსი“. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დღესდღეობით არის, ერთი მხრივ, შპს „ენერგურჰესისა“ და შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ და, მეორე მხრივ, სს „საქრუსენერგოს“ 50%-იანი წილის მფლობელი. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, რომელსაც გააჩნია დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის ლიცენზია, იმყოფება სს „საპარტნიორო ფონდის“ 100%-იანი მფლობელობის ქვეშ. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ფლობს ასევე სხვა გადაცემის ლიცენზიების, შპს „ენერგოტრანსის“, 100%-იან წილს. სს „საპარტნიორო ფონდი“ არის ელექტროენერგიის ყველაზე დიდი საბითუმო მიმწოდებლის, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“, 100%-იანი წილის მფლობელი. სს „საპარტნიორო ფონდი“ ასევე ფლობს 49% წილს შპს „გარდაბნის თბოსადგურში“, რომელმაც 2015 წელს დაიწყო ოპერირება; დარჩენილი 51% წილის მფლობელია სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“. თავად ამ კორპორაციის 100%-იანი წილის მფლობელია, ასევე სს „საპარტნიორო ფონდი“. სს „საქრუსენერგოს“ თანაბარწილობრივი აქციონერები არიან: საქართველოს სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით და რუსეთის გაერთიანებული ენერგოსისტემის ფედერალური ქსელის კომპანია.

ვინაიდან ენერგეტიკისა და წყალმომარაგების საქართველოს კანონით გათვალისწინებულია გადამცემი სისტემის ოპერატორის გამიჯვნის ორი მოდელი, ქონებრივი განცალკევების შემთხვევაში, ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლებელია, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიენიჭოს გადამცემი სისტემის ოპერატორის სტატუსი, რისთვისაც მან უნდა გაიაროს სერტიფიცირება. დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის შემთხვევაში კი აუცილებელია დაინიშნოს სრულიად დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორი, რომელიც დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებებს მთლიანი სისტემის მართვაზე. ახალი კანონის მიხედვით გადამცემი სისტემის ოპერატორის გამიჯვნა ელექტროენერგეტიკის სფეროში უნდა განხორციელდეს 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

რაც შეეხება, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების გამიჯვნას, ახალი კანონის მოთხოვნით, აუცილებელია მათი იურიდიული გამიჯვნა მიწოდებისა და გენერაციის საქმიანობიდან. საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორში განაწილების ლიცენზიას ორი კომპანია ფლობს, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ და სს „თელასი“, რომლებიც ასევე ახორციელებენ მიწოდებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სს „თელასს“ და სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს შეუძლიათ დაარსონ შვილობილი კომპანიები, რომლებიც განაწილების სისტემის ოპერატორისგან დამოუკიდებლად განახორციელებენ ელექტროენერგიის მიწოდებას საცალო მომხმარებლებისათვის. ახალი კანონით განაწილების სისტემის ოპერატორის გამიჯვნა ელექტროენერგეტიკის სფეროში უნდა განხორციელდეს 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

როგორც ელექტროენერგეტიკის სექტორში, ბუნებრივი გაზის სექტორშიც შესაძლებელია გადამცემი სისტემის ოპერატორის გამიჯვნის ორი მოდელიდან ერთ – ერთის გამოყენება. საქართველოში ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატიარის შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, რომლისთვისაც სავალდებულოა ქონებრივი დაყოფა, თუმცა ასევე გათვალისწინებულია სხვა ორი ალტერნატივა. კერძოდ, დღეს საქართველოში მოქმედი ტრანსპორტირების ლიცენზიატის სტატუსი ყველაზე ახლოს დგას დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის განსაზღვრებასთან, რადგან იგი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს საქართველოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემას, თუმცა სრული თავისებადობის მისაღწევად აუცილებელია ფუნქციურად იყოს სრულიად დამოუკიდებელი სისტემის მესაკუთრისაგან, არ განახორციელოს ბუნებრივი გაზის მიწოდება და დაარეგულიროს სხვა, მეტ-ნაკლები მნიშვნელობის საკითხები. „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების საქართველოს კანონით“ – ბუნებრივი გაზის სექტორში გადამცემი სისტემის ოპერატორის გამიჯვნა უნდა განხორციელდეს კანონის ამოქმედებიდან 21 თვეში.

აღნიშნული კანონის თანახმად, საწარმოს საჯარო მომსახურების ვალდებულებას აკისრებს საქართველოს მთავრობა, თუმცა იგი ვალდებულია, წინასწარ გაიაროს კონსულტაციები კომისიასთან და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან. ახალი კანონის მიხედვით, საქართველოს მთავრობამ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი უნდა განსაზღვროს კანონის ამოქმედებიდან 9 თვის ვადაში, ხოლო ბუნებრივი გაზის საჯარო მომსახურების მიმწოდებელს ავტორიზაცია უნდა მიანიჭოს – 21 თვის ვადაში. რაც შეეხება მთავრობის მიერ ელექტროენერგეტიკულ სექტორში ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის განსაზღვრას – ეს უნდა მოხდეს კანონის ამოქმედებიდან 9 თვის ვადაში, ხოლო ბუნებრივი გაზის სექტორში – 21 თვის ვადაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველო გათავისუფლებულია შემდეგი რეგულაციების დანერგვისაგან: N714/2009 (EC) ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გაცვლის სისტემებზე დაშვების პირობების შესახებ და N715/2009 (EC) ბუნებრივი აირის გადამცემ ქსელებზე დაშვების პირობების შესახებ – მანამდე, სანამ იგი ფიზიკურად არ დაუკავშირდება ენერგეტიკული გაერთიანების ან/და ევროკავშირის ნეკრი ქვეყნების ენერგეტიკულ ქსელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მესამე ენერგეტიკული პაკეტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება შეიძლება მივიჩნიოთ ნაწილობრივ შესრულებულად. მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც პასუხობს მესამე ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნებს, ჯერჯერობით მიმდინარეობს მისი პრაქტიკაში დანერგვა.


5.2. 2008 წლის 22 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/92/EC დირექტივა ბაერითიანების პროცედურების შესახებ სამრეწველო მომხმარებლისათვის დაწესებული გაზისა და ელექტროენერგიის ფასების გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით.

2008/92/EC დირექტივა მიზნად ისახავს საბოლოო მომხმარებლებისათვის დაწესებული გაზისა და ელექტროენერგიის ფასების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. დირექტივის მოთხოვნებით, მომხმარებელს საშუალება ეძლევა ფლობდეს საკმარისინფორმაციას დაენერგიის მიმწოდებლების შერჩევისას გააკეთოს თავისუფალი არჩევანი. დირექტივით დაცულია აგრეთვე ენერგიაზე ფასების გამჭვირვალობა, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს ბაზარზე კონკურენციას და ხელს უწყობს მის გამართულ ფუნქციონირებას.

დირექტივის მიხედვით, ევროკავშირის ან/და ენერგეტიკული გაერთიანების ნეკრი სახელმწიფოები ვალდებული არიან ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურს (ევროსტატს) მიაწოდონ ინფორმაცია, დადგენილი მოხმარების ზღვრების მიხედვით, ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის გაყიდვის შესახებ. ეს მონაცემები ენერგეტიკულ სექტორში მოქმედმა საწარმოებმა უნდა გასცენ ქვეყანაში მოქმედი სტატისტიკის სამსახურის მეშვეობით. ფასებზე ინფორმაცია მოიცავს სემესტრულ და წლიურ ინფორმაციას, კერძოდ:

- ფასები გადასახადებისა და მოსაკრებლების გარეშე;
- ფასები დღგ-სა და სხვა ანაზღაურებადი გადასახადების გარეშე;
- ფასები ყველა გადასახადის, მოსაკრებლის და დღგ-ს გათვალისწინებით;
- ფასები საქსელო მომსახურების, გადასახადებისა და სხვა ანაზღაურებადი ხარჯების გათვალისწინებით.

2018 წლიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს და ევროსტატს უგზავნის როგორც სემესტრულ, ისე წლიურ მონაცემებს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ფასების შესახებ. აღნიშნული მონაცემები ქვეყნდება ევროსტატის ვებ-გვერდზე (იხ. ნახაზი №15). ამდენად, ზემოაღნიშნული დირექტივით გათვალისწინებული მოთხოვნები საქართველოს მიერ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.



